№ 246 1 დეკემბერი, პარასკევი 1866—1873 1 დეკემბერი, პარასკევი № 246

-ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲞᲠᲘᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ი. ᲐᲛᲘᲠᲐᲯᲘᲑᲘᲡ სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ᲐᲛᲘᲠᲯᲘᲑᲘᲡ სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულ, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულიი ტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** Დ. ჩქოტუას და პ. ბაბისონიას ხელახლად გამტყუენებამ თფ. სამოსამართლო პალატისაგან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ამ საზოგადოების მომეტებული ნაწილი, რომელიც ასე გულ-მოდგინეთ ადევნებდა თვალ-ყურს ამ საქმის გარჩევას ჯერ ᲝᲚᲥის სასამართლოში და მერე პალატაში, უფ. პროფესორის საროკინის ექსპერტიზისა და განსაკუთრებით უ. სპასოვიჩის სიტყვის შემდეგ, დიდს ეჭვში დარჩა; ნამდვილად ვერ უთქვამსთ: მართლა ბრალდებულნი არიან დამნაშავენი, თუ არა; ზოგი კი ამათს სრულ უმანკოებაში არიან დარწმუნებულნი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, რასაკვირველია, ამას არ მიხედავს, მაგრამ ისინიც კი, რომელნიც ამათ დანაშაულობაში დარწმუნებული არიან, ამბობენ, რომ „ᲫᲛᲐᲠᲝᲓᲐ, ეყო ფოდა ამათ, რაც ზნეობითი და ფიზიკური წვალება გამოიარესო!..."

*** „ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲐ, ᲠᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ" აცხადებს, რომ ნოემბრის 23-დამ დაწყებული ᲨᲝᲗᲘᲓᲐᲛ მუდამ კეირას ხუთშაბათობით მიდის ცეცხლის-გემი ბათუმისა და ᲝᲓᲔᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲛ კი ხუთშაბათ საღამობით მოდის და სამშაბათს საღამოს ბათუმს და ᲨᲝᲗᲨᲘ იქნება.

*** პეტერბურული გაზეთი „რუსის სიმართლე" გვაცნობებს, რომ უფ. იანოვსკი, რომელიც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ სამასწავლებლო მაზრის უფროსად დანიშნა, უფ. ნეველროვის მაგივრად, ამ დღეებში მიდის ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ თანამდებობის მისაღებათაო.

*** „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔᲨᲘ" იწერებიან, რომ ᲑᲝᲠᲘᲡ უეზდში ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირებულა ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ; განსაკუთრებით ბევრი ცხენი და საზოგადოთ შინაური საქონელი იკარგებაო. ხალხი ამ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡ გავრცელებას ლაშქრობიდამ დაბრუნებულ მილიციონერებს აბრალებსო.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ" ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ, 24 ნოემბერს. (Დასასრული). საქმე პირველში დაიწყო მკაცრად და ბოლოომდინაც ჰქონდა იგივე ძალი შეპყრობილ ხალხზე.

ᲑᲐᲠᲩᲔᲕᲐ ამ საქმისა დაიწყო ამ თვის ხუთმეტიდან და გათავდა თერამეტს. სამხედრო მსაჯულებთ რიცხვი შეადგენდა თორმეტ დროებით ამორჩეულს წევრს. ᲐᲛᲐᲗᲨᲘ თავს-მჯდომარეთ იყო უ. ᲐᲜᲓᲠᲔᲡᲘ, რომელიც, როგორც სამხედრო დისციპლინა ითხოვს, ასრულებდა თავის მოვალეობას. ᲑᲐᲠᲩᲔᲕᲐ იწყობოდა ათ საათზედ დილით და თავდებოდა ნაშუადღევის ორ საათზედ და შემდეგ ოთხ საათზედ ვიდრე ღამის ათ საათამდინ გრძელდებოდა.

ᲮᲐᲚᲮᲘ მოუთმენელად ელოდებოდა ტუსაღების დანახვას, მეტადრე ნათესავები და მეგობრები, რომელთაც არათუ ელაპარაკნათ ერთათ, არამედ არც კი ენახათ ექვსი თუ შვიდის თვის განმავლობაში.

ᲐᲘ ტუსაღებიც მოიყვანეს. ᲑᲔᲕᲠᲘ ერია ამათში მარჯვე, ზორბა და წამოსადეგი, რომელთაც ცუდის ჰაერისგან ჰქონდათ საშინელი ფერი.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ სახლი მთლათ სავსე იყო, როდესაც შემოიყვანეს ტუსაღები და დასხეს იმ სკამებზედ, რომელიც ადრევე იყო ამორჩეული იმათთვის. უ. თავსმჯდომარემ დაუძახა ყარაულის აფიცერს და ჩააგონა, რომ სამხედრო მოთხოვნილება დაიცვაა რიგიანათ. ტუსაღების წინ იდგა სკამეიკა, სადაც ისხდნენ მათი ადვოკატები: უ. ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ, ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘ და ᲢᲐᲢᲘᲔᲕᲘ, რომელთაც ეწყოთ წინ პატარა სტოლზედ სამხედრო კანონების წიგნები და იყვნენ მომზადებულნი, რომ თავსმჯდომარეს ჩქარა მოეთხოვა მოწმები. ᲐᲥᲐᲗ მარჯვნივ იდგა ეტაჟერკა და მასზედ იყო მიყუდებული სტენოგრაფი. ᲢᲣᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ გვერდზედ რამდენიმე სკამი ეჭირათ ქალებს, რომლებშიაც ბევრი გასათხორი ქალიც ერია და იმათ უკან ისხდნენ კაცები.

ᲘᲙᲝ ისეთი სიჩუმე, რომ ბუზის ფრენას გაიგონებდით; ყველა რაღაცას ფიქრობდა; გაოცებით უყურებდნენ ჯერ ტუსაღებს და შემდეგ ერთმანეთს... შემოსავალ კარებში და გარეშემო ტუსაღებისა იდგნენ გამოჭიმული ყარაულები.-

ᲐᲘ დაიწყო საქმის გარჩევა. სასამართლოს სხდომა გაიხსნა. შემოვიდა უთავსმჯდომარე და თან შემოჰყვა თორმეტი წევრი, რომლებიც დასხდნენ რიგზედ. ᲗᲡᲔᲜᲘ არიან მორთულნი სამხედრო ტანისამოსში; მხრებზედ მსხვილ-მსხვილი ეპოლეტები, ხრმლების და დეზების ჟერიალმა იქ ურობა დააყრუა.

დაიწყო მოწმეების კითხვა. სხვათა შორის მოწმეებიდან ასპარეზზე გამოვიდა თავადი ᲘᲚᲘᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ, რომელმაც თავის სინიდისიანი ჩვენებით და სიმართლით ბევრს წყლული გაუმთელა.

შემდეგ ამისა კიდე სხვები და მერე მაზრის უფროსის მოეწე, რომელიც ისე შემოვიდა თითქოს ყველას ეს დაიხსნისო: ხმალ ჩამოკანჭურებული, მასრებიანი ჩერქესკით, თავ-გადავარცხნილი. ᲘᲡᲔ მივიდა მოსამართლეთ სტოლთან, თითქოს ამათ ააყენებს და თითონ დაჯდება თავსმჯდომარის ალაგასაო. როდესაც ჰკითხა სუდმა, თუ რა იცის ამ საქმეზედ და ან ვინ იყვენ დამნაშავენი,—ჯერ ნერწყვს დაუწყო ყლავმა და მერე ტუჩების ტკბნურებით ცოტ-ცოტა გამოთქმა; შემდეგ ისე ასტყდა, რომ კითხვას ყურს აღარ უგდებდა: ჯერ არაფის არა ეკითხა-რა, რომ ის მოჰყვა: მე ძალიან მცემესო, ბოლოს ხელიდამ გეეშვი და დავიმალეო და სხვ. ᲐᲛᲐᲡ ისე ეგონა, რომ სამხედრო მსაჯულები მარტო ამის განაწყენების გასარჩევლად მოსულიყვნენ! ᲛᲘᲑᲠᲣᲜᲓᲐ მერე ამ საბრალო ტუსაღებისკენ, იცნო ვინმე თუ არა, ყველაზედ თითს უშვერდა, უჩვენებდა: ესეც იყო, ესეც, ესეც და სხვა... Ს. მოსარჩლე ᲑᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ რომ არ შეეყენებინა, რომელმაც მალე გაათავებინა ტყუილ-უბრალო რაშვა, ტუსაღებს ვინ იტყვის, ხალხს, რომელიც ვიყავით ამ სამწუხარო საქმის მოსახილებლად, გვეშინოდა, რომ ჩვენც არ მეკვედავოსო.. ᲗᲠᲘᲗᲘᲡ სიტყვით, ამ კაცს მოსამართლეები-ლა დარჩნენ და ჩვენ, თორემ სოფელში ბალღებზედაც-კი უჩვენა.

ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲘ ტუსაღები ისხდნენ გაფითრებულები და ელოდებოდნენ თავიანთ ბედის დამბზმო განაჩენის გამოცხადებას.

ᲐᲘ მოვიდა დრო, ადგა პროკურორი; მართალი და მტყუანი სულ ერთმანეთს გააყოლა.

მოსარჩლენიც ემზადებიან პროკურორის საბუთების დარღვევას და ტუსაღების

გამართლებას. ზოგი წყალს თხოულობს, ზოგი კანონებს ჰშინჯავს, სტენოგრაფიც ემზადება სიტყვების დახსომებას; ეტაჟერკას მალ-მალე ჰხდის, თითქო სიტყვებს იქ უპირებდეს დამწყვდევას...

მოსარჩლეებმა მისცეს პასუხი პროკურორს, და კარგა ხანმა განვლო პროკურორის და მოსარჩლეების ბაასში.

ბოლოს უ. თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ პროკურორის და მოსარჩლეების შორის ლაპარაკი გათავდაო და განაჩენს გამოაცხადებს მეორე დღეს თერამეტში, ათ საათზედ.

რაც ამ სამი დღის განმავლობაში ხალხი იყო, სამი ზომა მეტი მოვიდა ამ დღეს. ტუსაღებიც მოიყვანეს და დასხეს ამორჩეულ მათთვის ალაგზე და ქალებიც ისევე იქ, სადაც ისხდნენო.

დანიშნულ დროს წევრები გამოვიდნენ იმ კარებიდამ, სადაც ტუსაღების საცოდაობა იწერებოდა. ხალხი ფეხზედ ადგა იქამდის, ვიდრე თავსმჯდომარე გაათავებდა რეზოლიუციის (განჩინების) გამოცხადებას. ტუსაღებს მოუახლოვდათ ბედი და უბედობა. ხალხი მოუთმენელად ელოდებოდა განაჩენის გათავებას. აი და გაათავა იმ სიტყვებით, რომლებმაც ბევრის გული ისე გასჭრა, როგორც ლახვარი.. ბოლოს გამოაცხადეს, რომ ცხრა კაცი დაისჯებაო, რომლებშიაც ერთი ერია დედაკაცი: ამათ გადუწყვიტეს თხუთმეტის წლით გაგზავნა კატორღაში იმ პირობით, რომ სუდი იშუამავლებს მის იმპერატორის უმაღლესობასთან, რომ ეს გადაწყვეტილობა შესცვალონ საუკუნოთ ციმბირში გადასახლებით.

-უარაულებმა ძრიელ ფრთხილად გამოიყვანეს გარეთ გამტყუნებული ტუსაღები, სადაც მათ ელოდებოდა დიდძალი ხალხი. შეიქნა მოედანზე საშინელი ტირილი, და მეორის მხრით მხიარულება გამართლებულ ტუსაღების მეგობრების მხრით...

ბევრს შეუღონდა გული. სიღნაღელმა ქალებმაც ისე ერთგულათ თანაუგრძნეს, რომ ყველამ თვალ-ცრემლიანმა გააცილეს გამტყუნებული ტუსაღები; ერთმა ღენერალმა მთელი ნახევარი საათი იტირა იმათი ტანჯვისთვის...

სწორე მოგახსენოთ, დების, დედების და ცოლების გულ-შეღონება, თმისა და სახის გაგლეჯა რომ დავინახე, მეც გადმომვარდა რამდენიმე ცრემლი...

აი ამ დღით გათავდა გაზაფხულზედ დაწყობილი სიღნაღის საქმე...

მერამალაროელი

უცხო ქვეყნები

ინგლისი და ავღანისტანი

ლონდონიდამ მოვიდა ამბავი, რომ ავღანისტანის ომისათვის სამინისტრო რვა მილიონი მანეთის დახარჯვის უფლებას სთხოვს პარლამენტსაო. ამბობენ, რომ პარლამენტის ყველა წევრები თანახმანი არიან, რომ ამის ნება-რთვა მისცენ სამინისტროს.

—„ტაიმსი“ ამბობს, რომ თუ ღენ. რობერტსმა უკურუმის მაზრიდამ განდევნა ავღანელები, მაშინ ინგლისის მთავრობის განზრახვა შესრულებული იქნება და მორიგების პირობებზე შეიძლება ლაპარაკი ჩამოვარდესო.

—ინგლისში მოსული შემდეგი დეპეში ინდოეთის ვიცე-კოროლისა: „ღენ. რობერტსის ჯარმა პეივარო-კოტუზთან ღამით დაუარა თავი გამაგრებულ ალაგზე გაჩერებულ მტრის კარებს და გათენებისას ორმა პოლკმა დაუწყო სროლა. თუმცა ავღანელები გაცხარებით იბრძოდნენ და იმათ კარგი არტილერიაც ჰქონდათ, მაგრამ მალე გაიქცნენ და 18 ზარბაზანი და დიდ-ძალ სასროლები და ტყვია-წამალი ჩვენს ხელში დარჩა. ჩვენი ჯარები ახლა შუტარგარდანისაკენ მიდიან.“

სპარსეთი

ერთს ბელგიურს გაზეთში დაბეჭდილია თეირანიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი სხვათა შორის ამბობს, რომ, სპარსეთის შაჰის განკარგულებით, ამ დღეებში კოტურისაკენ (ოსმალეთის საზღვრისაკენ) გაგზავნილი ორი როტა ჯარი, ასიოდე ცხენოსანი და ხუთი ზარბაზანი და ამ ჯარების უფროსს მინდობილი აქვსო, რომ ოსმალეთის ადგილობრივ მთავრობას მოსთხოვოს კოტუროს მაზრის დათმობა ბერლინის ტრაქტატის თანახმადო.

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

თფილისის სამოსამართლო პალატაში

სხდომა 28 ნოემბერს.

ადვოკატის სპასოვიჩის სიტყვა. მოსამართლენო ტეხნიკოსნო და მოსამართლენო კანონისანო! ახალი სასამართლოს კანონით ნაფიც სასამართლოსა და მთავრობისაგან დაყენებულ მოსამართლეების სასამართლოს შუა, სხვათა შორის, ის განსხვავება არის, რომ თქვენ, მთავრობის მოსამართლეთ, მთელი საქმე, ყველა ქაღალდები და საბუთები გაქვთ ხელში, ყველა ამით ხელმძღვანელობთ. ნაფიცი მოსამართლენი კი მხოლოთ იმით სჯიან, რაც თვითონ სასამართლოში დაუნახავთ და გაუგონიათ. იმათთვის კანონების ცოდნა არ არის საჭირო. იმათ, სასამართლოში მოსვლამდის, არც თვით იმ საქმის გარემოება იციან, რომლის განსახილავად მოწვეულნი არიან. ისინი პირ-

ფელეტონი

ჰუმბერტი ნეაპოლში

(„დროების“ კორრესპონდენცია იტალიიდამ)

კვირას (17) 5 ნოემბერსა ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები მოუთმენელად მოელოდნენ რომიდგან ჰუმბერტს, თავის ახალგაზრდა კაროლს.

რადგანაც ახალი მეფე დაგვირგვინების შემდეგ არ ყოფილა ამ ქალაქში, იმიტომ მთელ ახლო-მახლო ქალაქებიდგან და სოფლებიდგან შეგროვდა სანახავად იმდენი ერი, რომ მრავალი ქუჩები ნეაპოლისა ძლივს იტევდა.

ქუჩები, სახლის ბალკონები და ფანჯრები მორთული იყო დროშებით და ყვავილებითა. თვითეულმა სახლმა გამოჰფინა თავისი დროშა, თვითეულის მოქალაქესა გულზედ ჰქონდა ან ხელში ეჭირა მნიშვნელობითი ყვავილი „მარგარიტა“ (იტალიის დედოფალს მარგარიტა ჰქვიან; ამავე სახელს უწოდებენ ერთნაირს ყვავილსა, რომელსაც ყვითელი გული და თეთრი ფოთლები აქვს).

უმთავრეს ქუჩებზედ: „Foria“ და „Toledo“-ზედ სახლების კედლები იყო უდიდესი ფერად-ფერადი აფიშებით, რომლებშიაც ენა-მჭევრად და ნათლად გამოხატული იყო სხვა-და-სხვა მოკითხვა, მილოცვა და შესხმა. მაგალითად მოვიყვან აქ ზოგიერთ ამ აფიშების ჰაზრსა:

„ადღეგრძელოს პირველი დედოფალი იტალიისა!“

„ვიქტორ-ემმანუელმა (მიცვალებულ კოროლმა) გაგვიღო ჩვენ კარნი რომისა, მაგრამ ჰუმბერტი იქ დაგვაფუძნებს.“

„ვიქტორმა შეაერთა იტალია და ჰუმბერტი ჩვენ შეგვაერთებს ძმობითა, სიყვარულითა და ერთგულობითა!“

„ადღეგრძელოს ნაპოლის დიდი თავადი, ნაშობი ჩვენსა ქალაქში!“ (ჰუმბერტის შვილი ნაპოლშია დაბადებული.)

„ჭაბუკნო, დღეს მოვა თქვენი მთავარი, რომელმაც გიჩვენათ თქვენ სამაგალითო სიმამაცე: შეჰხარეთ და ებაძენით მას!“ და სხ.

სამეფო სასახლიდგან დაწყობილი რკინის გზის სტანციამდის გზა მოჰფინეს ქვიშით, აქეთ—იქით დარჭმული იყო რამდენიმე ხარიხა, რომლებზედაც ნიავი აფრიალებდა საერო ჩაფერადებულს ფლაგებსა (დროშებსა). თვითეული ხარიხა შეღებილი იყო ლილის ფრად და შემკული ყვავილებითა.

შუადღის შემდეგ ფორის ქუჩაზედ გამოიარა ამორჩეულ მოქალაქობამ, რომელსაც შეადგენდა ოცდა ათი ასსოციაცია (საზოგადოება). მათ შორის იყვნენ: სტუდენტები უნივერსიტეტისა, ტეხნიკური ინსტიტუტისა, სახელოვნო აკადემიისა, მოსწავლენი გიმნაზიებისა, სასულიერო სემინარიისა, აგრონომიის შკოლისა და სხ. თვითეულს საზოგადოებას ეპყრა თავისი დროშა და მიეჩქარებოდა სტანციისკენ.

შუადღის შემდეგ ერთი განსაკუთრებითი პოეზდი, რომელსაც შეადგენდა ოთხი ვაგონი, გავიდა ნეაპოლიდგან მაზრის საზღვრისკენ, პატარა ქალაქს „Trattagrumo“. ამ პოეზდით გავიდნენ მისაგე-

და-პირ ამბობენ: „დიახ, დამნაშავეა“, ანუ „არა, არ არის დამნაშავე“. თქვენ კი კანონი უნდა ჰქონდესთ მხედველობაში. თქვენ არ შეგიძლიანთ თქმა, რომ ესა-და-ეს ბრალდებული დამნაშავეა ანუ არ არის დამნაშავე;—ამის დასამტკიცებელი საბუთები და მოტივები უნდა მოიყვანოთ თქვენს განაჩენში.

„მაგრამ თქვენც ადამიანები ხართ; არც თქვენ შეგიძლიანთ არ მიაქციოთ ყურადღება ისეთს მხარეებს, რომელზედაც ფუძნდება ნაფიც მოსამართლეთა გადაწყვეტილება: კანონს გარდა, უნდა იქონიოთ მხედველობაში თქვენი რწმენა, კაცობრიული გრძნობა. და თუ დამნაშავის წინააღმდეგ აშკარა, ცხადი დაეტკიცებანი და საბუთიები არ არის, თუ თქვენ ეჭვში ხართ იმის დანაშაულობაზე, რასაკვირველია, გამართლებას ამჯობინებთ, ვინემ საეჭვო დამნაშავის დასჯას...

„ამ წინასიტყვაობის შემდეგ, მე პირ-და-პირ გადავდივარ იმ საქმის გარემოებაზე, რომლის განსახილავად ჩვენ მოვსულვართ აქ..

„22 ივლისს 1876 წელსა დაიკარგა ნინო ანდრეევსკის ქალი. მეორე დღეს, შუადღისას, იმის გვამი ნახეს ყარაიაზზე, შაბუროვის მამულში. აქედამ დავიწყოთ.

„ბრალმდებელს აქტში სამი უმთავრესი მუხლია იმის დასამტკიცებლად, რომ ნ. ანდრეევსკისა ძალად არის მოკლული შინაურებისაგანაო: პირველი ექსპერტების-დოქტორების ჩვენება, მეორე ის გარემოება, რომ ანდრეევსკის სახლის წინ, წყლის პირზე, ნახეს იმის პოლსაპოშკები, რომელიც სრულიად მშრალი იყო, და მესამეც ის, რომ დამღრჩვალის გვამი ასე მოკლე ხნის განმავლობაში ამდენ მანძილს (ანდრეევსკის სახლიდამ ყარაიაზამდინ) ვერ გაივლიდაო.

„განვარჩიოთ თითოეულად ეს და სხვა საბუთებიც. მე დარწმუნებული ვარ, და იმედი მაქვს, ამაში თქვენც დაგარწმუნებთ, უ.უ. მოსამართლენო, რომ არც-ერთი იმ საბუთთაგანი, რომელიც გამამტყუვნებელ უფლებას მოჰყავს ჩემი კლიენტების გასამტყუვნებლად, არ არის ყურადღებაში მისაღები. იმედი მაქვს, ჩემი სიტყვის შემდეგ, თქვენ დაინახავთ, რომ ზოგი იმ საბუთთაგან, რომელიც ბრალდებულების წინააღმდეგ მოჰყავს გამამტყუვნებელი უფლების წარმომადგენელს, ამ ბრალდებულების სასარგებლო საბუთებად გადაიქცევიან, ზოგი სრულიად გაჰქრებიან და ზოგს კი სულ სხვა ჰაზრი და მნიშვნელობა მიეცემა.

„მაშ დავიწყოთ თავიდამ:

„ექსპერტები ამტკიცებენ, მიცვალებულს ისეთი ნიშნები და იარები ჰქონდა ტანზედაო, რომელნიც, უეჭველსა, სიცოცხლეში არიან გაჩენილნიო. როცა დამღრჩვალი-მკვდარი დაეჯახება ქვებს ან სხვა რასმეს და დაიჭრება, აქედამ სულ სხვა გვარი და სხვა შეხედულობის იარები გაჩნდება იმის სხეულზედაო. მაგრამ ამ დასკვნის თაობაზე პირველად ყველა აქაური ექსპერტებიც კი არ იყვნენ ერთმანეთში სრულიად თანხმანი; ექიმე ზლავაცკი, მაგალითად, პირველად ამტკიცებდა, რომ ნ. ანდრეევსკის სიკვდილის მიზეზი არის დაღრჩობაო, შეიძლებოდა ის ძალათაც დაეღრჩოთ და შეიძლებოდა უბედურ შემთხვევის გამო დამღრჩვალი იყოსო.

„თქვენ მოისმინეთ აქ პროფესორის საროკინის ვრცელი ახსნა იმაზე—თუ რა განსხვავებაა ძალად დამღრჩვალ ანუ ხელით წამღრჩვალსა და უსაზედათ ანუ თავის ნებით წყალში დამღრჩვალ ადამიანს შუა. ამ ახსნიდამ ცხადათ დამტკიცდა, რომ ნ. ანდრეევსკისა წყალში, მხოლოთ წყალშია დამღრჩვალი, რომ იმას ძალდატანება არ შეხებია.

„რაღა თქმა უნდა, რომ უფ. საროკინის ჩვენებასა და ჰაზრს [illegible] უნდა მიეცეს აქაური ექიმებ[illegible]. რატომ? მკითხავთ. მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო პატივცემულ აქაურ დოქტორებს; მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ ესენი ყველაზე პირველად პრაკტიკები არიან, მთელ თავის სიცოცხლეს ესენი ავათმყოფების რჩენაში და წამლობაში ატარებენ. ამას გარდა პროვინციალურ ქალაქში არასოდეს არ არის იმდენი საშუალება მეცნიერების შესწავლისათვის, როგორც სატახტო და უნივერსიტეტის ქალაქებში. ამის გამო ამათ არ იციან რიგიანათ სასამართლოს მედიცინის მეცნიერება. ამ საუკუნის დასაწყისში ცხოვრებდა ერთი გამოჩენილი სამხედრო ტაქტიკი ჟომინი, რომელმანც რამდენიმე შესანიშნავი თხზულება დასწერა იმაზედ—თუ როგორ უნდა ბრძოლა, როგორ უფრო ადვილად შეიძლება მტრის დამარცხება ბრძოლის ველზე. მაგრამ ამ ჟომინისათვის რომ სარდლობა მიენდოთ, ვინიცის იქნება ძალიან ცუდი სარდალი გამოვიდოდა. ამას გავს აქაური ექიმების საქმეც.

„მეორე საბუთი და თითქმის ყველაზე უმთავრესი, პროკურორის ჰაზრით, არის ბაშმაკები. ბაშმაკების ძირი მშრალი იყოვო, ამბობენ, მაშა სადამე იმას არ უბანია აქ, არ ჩასულა წყლის პირზე; მაშა სადამე ეს ბაშმაკები განზრახ დაუწყვიათ წყლის პირასაო. ბევრი დამტკიცების მოყვანა შეიძლება ამ საბუთის დასარღვევად: მე, 50 წლის, მძიმე კაცი რომ ჩავსულვიყავ იმ ადგილას, წყლის პირზე, უეჭველია, წაღებს გავისვრიდი. მაგრამ ნ. ანდრეევსკის ქალი იყო, იმას მსუბუქი, მარდი ნაბიჯი ექნებოდა. ადვილად შეეძლო ისე ჩასულიყო, რომ ფეხი არ გაესვარა. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადახტა მშრალ ადგილამდინ, რადგან აქ სულ 2 არშინია სი-

---

ბლად მწევრნი პროვინციის რჩევისა, თვისი თავ-მჯდომელითა (პრეზიდენტითა) და პრეფექტითა.

პირველ საათზედ სასახლიდგან გამოვადა მშვენიერი სამეფო ეტლი; კუჩერს და კამერდინერს ეცვათ წითელი გარშემო ოქრომკედით ნაკერი, ტანისამოსი და თმები თოვლივით გათეთრებული ჰქონდათ პუდრით. ამ ეტლს უკან კალიასკებით მისდევდნენ: სეფეთ-უხუცესი, დარბაზ-ბატონი, სეფე-ქალნი და სხვა წარჩინებულნი კარის კაცნი; მათ წინ მიუძღოდა აბჯრიანი მეფის სადარაჯო მხედრობა.

მეორე საათზედ გამოიარეს სამმა კალიასკამ, რომელშიაც ისხდნენ მუნიციპიის მწევრნი და სინდიკი გრაფი ჯიუსსო. სტანციის დარბაზი სავსე იყო წარჩინებული ხალხით (2,000-ზედ მეტი).

იმ ზალაში, რომელშიაც უნდა მიელოთ კაროლი, ელოდა მხოლოდ უპირველესი მოქალაქობა! გრაფი ჯიუსსო და სეფე-ქალნი იდგნენ პირველ რიგში. ზალის კარები და ფანჯრები მორთული იყო ფერად-ფერადი ფარჩებით, იატაკი—მოფენილი მშვენიერი ხალიჩებითა, კოლონადა მთლად შემკული ყვავილებითა, კედლები მორთული ალაფითა (ტროფეით) და მრავალი გვირგვინებითა, რომელნიც დაწნული იყო მარკარიტის ყვავილისაგან; დიდ კართ შესავალთან აქეთ-იქით იდგა ორი გამოქანდაკებული სახე მეფისა და დედოფლისა.

ერთი სიტყვით, სტანცია, როგორც შიგნიდამ, აგრეთვე გარედგან ტურფად იყო შემკული. სტანციის მოედანი, აგრეთვე ახალი ქუჩები სავსე იყო ჯარით, ზარბაზნებით, და მრავალი გუნდებით მუზიკანტებისა.

2-ს საათზედ და 25 მინუთზე San Elmo-ში გაისროლეს ზარბაზანი და მით აცნობეს ხალხს მეფის შემოსვლა; იმავე წამს დაიწყეს ყველგან მუზიკის კვრა.

ხალხს დაუწყო გულმა ფრიალი და ერთსა და იმავე დროს დაიჭექა ათასათასის პირიდგან ამოსულმან ხმამ: Viva il Re! Viva la Reqina! Viva ის Principe di apoli! Viva Cairoli!“ ეს ყვირილი დაიწყო და აღარ შესწყდა..

როცა კაროლი, კაროლევა, მათი ძე და კაიროლი (თავსმჯდომარე სამინისტროსი) ვაგონიდგან გადმოვიდნენ, ხალხი ყვირილით და ტაშისკვრით მიეგება. ჰუმბერტის წინ წარსდგა სინდიკი და მოახსენა:

„თქვენ დიდებულების წინაშე თავს იდრეკს მთელი ნაპოლი და დღესასწაულობს თქვენს მობრძანებას. თვის სიხარულს ამტკიცებს ერი მაღალი ხმით „Viva“ (აღდეგრძელოს!), რომელიც გულ-წრფელად ამოდის თვითეულ თქვენ ქვეშევრდომის პირიდგან“.

კაროლმა მადლობა უბრძანა და ჩაჯდა ეტლში; გვერდით მოისვა ცოლი და წინ—შვილი და კაიროლი. უკან გაჰყვა დიდკაცობა.

ფორიასა და ტოლედოს ქუჩებზე დაიწყო ხმის გრგვინვა, ტაშის-კვრა და ყვავილების წვიმა და არ შესწყდა, მინამდის კაროლის სახლობა არ შევიდა სასახლეში.

(დასასრული შემდეგ №-ში)

მაღლე. ან რატომ არ შეიძლება წრმოვიდგინოთ, რომ ფეხი გაისვარა და შემდეგ დადგა წყალთან, ჩაჰყო წყალში ფეხი და წყალმა გარეცხა ბაშმაკის ძირი. ბევრი სხვა მოსაზრებაც შეიძლება მოიყვანოს კაცმა.

„მესამე საბუთი არის ის, რომ წყალს არ შეიძლო იმ სიშორეს წაღება ასე მალე. ნ. ანდრეევსკის ქალის გვამისაო.

„აქას ამტკიცებს მენაევ ვადაპანოვი, რომელმანც, სხვათა შორის, ისიც სთქვა, რომ ანდრეევსკის სახლიდამ უარაიაზამდინ 45 ვერსი არისო; ახლა კი მეტევის ჩინოვნიკის ტკაჩოვის გამოანგარიშებით იქამდინ სულ 33 ვერსია. და რომ გამოვიანგარიშოთ, გამოვა, ოომ გვამს საათში 2 ვერსი და ცოტა მეტი უნდა გაეღლო, რომ 14 საათის განმავლობაში (დაღრჩობიდამ ნახვამდინ) უარაიაზში მიეტანა წყალს. ჩვენ ვიცით, რომ ქალაქიდამ დაწყებული პირველი 17 ვერსის სივრცეზე მტკვარი თითქმის სულ ერთ მდინარედ მიდის, რომელიც ღრმაც არის და იმ ენათაც ჩქარი, რომ საათში ადამიანის გვამა 5 ვერსზედაც წაიღებს. მეშვიდმეტე ვერსზე მტკვარი რამდენიმე ნაწილად იყოფა. მართალია, ეს ტოტები ისე ღრმა არ არის; მაგრამ არც ისე პატარაა ამათში წყალი, როგორც პროკურორი ამბობს, რომ ადამიანის გვამის წაღება ნელ-ნელა მაინც არ შეეძლოს..

„ამით ვათავებ ამ საქმის ფაქტიკური მხრის განხილვას და გადავდივარ პსიხოლოგიურ მხარეებზედა... მაგრამ სანამ ამაზე დავიწყებდე ლაპარაკს, სასამართლოს ვითხოვ, სხდომა ათი მინუტით შეაჩეროს, რომ ცოტა შევისვენო.

(სხდომა შეაჩერეს 2 საათით — 7-მდინ)

(მაგრძელება)

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული მ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

აგრეთვე ამ დღეებში გამოვა ბეჭედან და იქმნება გასასყიდათ ამავე ადგილებზედ: ივ. ქერესელიძის ლექსების გამოცემული მექვთიმე ხელაძისაგან

ფასი ყველგან 50 კაპ.

(5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაიევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები„—თ ფ ი ლ ი ს ში: ბრიკეროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ ს: ბიორგი ბარათოვთან, ბ ო რ ში: ზაქარია დონდაროვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ში: თ. ვანო თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ვ ი თ ს: თ. ნიკო დიასამესწინ მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქ უ თ ა ი ს ს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, ს ა მ ტ რ ე დ ი ა ს: ი ო რ დ ა ნ ე ს ი ხ ა რ ულიძესთან, ფ ო თ ში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაიევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოგდანოვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უფასო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარ ა,—ცაძეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰაურს ყდაში გადაკრული ვაიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საუმაწვილო კონა პირველ დ წყებითი მოთხრობებისა პუნ-ების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.-

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური

აქვე ისყიდება ყველა ქართული და ოუსული სახალმძღვანელო წიგნები. (10—7)

რკ. გზა.	დილა.		ს. ღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი. .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი. . . .	11	5	9	43	2	40	1	33
ხაშური. . .	1	29	11	57	3	92	2	18
სუთამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა . .	5	49			5	81	3	23
რიონი . . .	6	5			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახალ-სენაკი	8	43			8	57	4	76
ფოთი . . .	9	50			9	75	5	42

ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	18	-	66
სამტრედია .	11	5			2	6	1	14
რიონი. . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა . .	1	18	ღამ.		3	98	2	21
სუთამი . . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური. . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა. . .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილის . .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოკი სიტყვა თფილისიდამ:

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვ, ოდესა, მოსკოვ	2	—
პეტერბურს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშ, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქალაქს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		
და სამზღვარ გარეთ:		
ერთ წიგნი.		4
დ ბ ჭ ვ ლ ს (ბ. ში მისსელი). .		8

მაზანდა

თფილისი, 30 ნოემბერს.

	მან	კაპ
ფქვ. თფ. ბანჯარა, ფუთ.	1	80
ფქვილი წითელი . .	1	60
ქერი ფუთი	1	30
ბამბა ერევანისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	8	04
ბაპუნტი ბ მბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთი	7	50
— მარაქამისა ფუთი . .	4	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	—
ქონი, ფუთი	5	50
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	3
ხორცი ძროხისა, ლიტ	—	81
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	90
სპირტი ვედრო	4	80
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	60
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვლი, გირვ . .	—	70
ბეთი ქუნჯუთისა ფუთი	12	80
თამბაქო, ს ოფლო ფუთ.	6	50

თფილისის სამკურნალო.

ერევნ ს მაიდანზე, წ ნამძღვარ ოვ ს სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერ ოშევი და ბ ა ლ ლ ე ვ ი ჩ. — შინ. ბ. ავად., ქ ი ფ ა ჩ ა ნ ი ა — ს ა ყ ვ ა ო ე ქ ი მ ი და ს ა შ ვ ი ლ ოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინ. ბ. ა. ბ ხ უ ტ ო ვ ი — ს ა ბ ე ბ ი ო. და ბ ა ვ შ ვ ს, პ ე ე ნ ო ვ ი — თ ვ ა ლ ი ს.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შ ი ნ ბ ა ნ ი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შ ი ნ ბ., ქ ი ფ ა ჩ ა ნ ი ა — ი ფ ი ლ ი ტ ი კ ე ბ ი და ს ა შ ა ო ბ ლ ე ბ ი.

პ ა რ ა ს კ ე ვ ი: ვერმიშ ვ ი - შ ინ. ბ., ა. ბ ა ხ უ ტ ო ვ ი — ს ა ბ ე ბ ი ო. ქ ა ლ ი ა ა. და ბ ა ვ შ ვ ებ ს.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შ ი ნ ბ ა ნ., და პ ე ე ნ ო ვ ი — თ ვ ა ლ ი ა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 30 Ноября 1878 г. Типографія Мелихова. გამომცემ. ს. ველიძიშვილი რედაქტორი ს. მესხი.